კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3

16 ოქტომბერს ბორჯომის მხარეთმცოდეობის მუზეუმში დაგეგმილია „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება, რომლის თანაორგანიზატორია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ღონისძიების მიზანია საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენოს ამ უნიკალური პოემის, როგორც უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობის, მნიშვნელობა.

ღონისძიება 14:00 საათზე გაიხსნება და რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. მასში მონაწილეობას ღებულობენ როგორც უფროსი თაობის წარმომადგენელბი ასევე სკოლის მოსწავლეები. მოხსენებებს წაიკითხავენ მუზეუმის წარმომადგენლები, ასევე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები. მოხსენებების თემატიკა მრავალფეროვანი და განსხვავებულია. „ასტრონომიულ-ასტროლოგიური ცოდნა „ვეფხისტყაოსანში“ - კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავის მთავარი მცველი - თამარ აბულაძე. "ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერების შესახებ - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - ლელა შათირიშვილი.

გარდა მოხსენებებისა ღონისძიებაზე გაიხსნება გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების ასლები: ე.წ ბეგთაბეგისეული ვეფხისტყაოსანი და წერეთლისეული ვეფხისტყაოსანი. ორივე ხელნაწერის ორიგინალი უნიკალური მხატვრობით გამოირჩევა. ბეგთბეგისეული ვეფხისტყაოსანი ცნობილია მისი გაფორმებით, რომელიც ოქრომელნითაა შესრულებული და თითოეული გვერდის ორნამენტი განსხავებულია. ხოლო წერეთლისეული ვეფხისტყაოსანი კი ყველაზე უხვად ილუსტრირებულ ვეფხისტყაოსნად ითვლება. საგამოფენო სივრცეში ასევე განთავსებული იქნება საინფორმაციო ბანერები ვეფხისტყაოსნის თემატიკაზე. აღსანიშნავია, რომ გამოფენა ერთი თვე გაგრძელდება და ნებისმიერი მსურველისათვის შესაძლებელი იქნება უნიკალური ხელნაწერების ასლების ხილვა.

“ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი სიამოვნებით მონაწილეობს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილ ღონისძიებაში.

შოთა რუსთაველის პოემა შეიქმნა ქართული რენესანსული კულტურის წიაღში, მასში აკუმულირებულია ‚ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი ეპოქის საზოგადოების ისტორიულ-იდეოლოგიური და ესთეტიკური შეხედულებები, სამეცნიერო წარმოდგენები, შუა საუკუნეების ზოგადკულტურული ცოდნა და ცივილიზაციათა ურთიერთგავლენების შედეგები. ამავე დროს, პოემაზე საუბრისას ხშირად გვავიწყდება, რომ იგისაუკუნეებსძველმახელნაწერებმაგამოატარა. უდიდესი პოპულარობის გამო ძველ საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი ხელნაწერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენამდე ფრაგმენტების ჩათვლით „ვეფხისტყაოსნის“ 200-მდე ხელნაწერმა მოაღწია. მათი დიდი ნაწილი კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com
598 175 777; 577 977 199
თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge
599 899 628

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მონაწილეობა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის 16 ოქტომბრის ღონისძიებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯია რეგიონულ მუზეუმებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებაში. “ - აღნიშნავს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგარეო ურთიერთობათა, განვითარების და განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ირინა გოგონაია.

შეგახსენებთ, რომ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის უდიდესი ხელნაწერი მემკვიდრეობის საცავი საქართველოში. იგი ემსახურება ხელნაწერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციას. სამეცნიერო პროდუქციის შექმნის გზით ხელს უწყობს ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ზრდასა და განვითარებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მარიამ ჯაბიძე
mariamjabidze@gmail.com
598 175 777; 577 977 199
თამარ გურგენიძე
friends@manuscript.ac.ge
599 899 628